

გრეგოლ რობაკიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ხელნაწერის უფლებით
With the right of manuscript

ნინო საჩალელი
Nino Sachaleli

აგროტურიზმი, როგორც ტურისტული ბიზნესის მდგრადი
განვითარების კომპონენტი და მისი პოტენციალი შიდა
ქართლის რეგიონში

**Agritourism as a Component of Tourism Business Sustainable
Development and Its Potential in Shida Kartli Region**

საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება
Educational Programme: Business Administration

დისერტაცია წარდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

Thesis is presented for obtaining of the
PhD Degree in Business Administration

რეზიუმე

Abstract

თბილისი
Tbilisi

2024

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო საჩალელი

აგროტურიზმი, როგორც ტურისტული ბიზნესის მდგრადი
განვითარების კომპონენტი და მისი პოტენციალი შიდა
ქართლის რეგიონში

საგანმანათლებლო პროგრამა:

ბიზნესის ადმინისტრირება

დისერტაცია წარდგენილია ბიზნესის
ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

რეზიუმე

თბილისი

2024

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელები:

თამარ ქობლიანიძე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
მაია მელაძე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, თბილისი, ირინა
ენუქიძის №3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)

სარჩევი

შესავალი.....	5
კვლევის აქტუალობა და პრობლემის არსი.....	5
კვლევის მიზანი და ამოცანები	10
ნაშრომის ჰიპოთეზა	11
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი.....	12
მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა.....	14
განსჯა და მეცნიერული მიგნებები	16
დასკვნა	21
რეკომენდაციები	29

შესავალი

კვლევის აქტუალობა და პრობლემის არსი

მდგრადი განვითარება საკმაოდ ახალი კონცეფციაა, რომელიც სრულყოფილი ფორმით მხოლოდ 1987 წელს გაჟღერდა გაეროს გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიის, ე.წ. ბრუდლენდის კომისიის მიერ მომზადებულ ანგარიშში. კომისიის განმარტებით, მდგრადი განვითარებისას დღევანდელი მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ ზიანი არ მიადგეს არსებულ რესურსებს და საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს.

აღნიშნული დეფინიცია ყურადღებას ორ ძირითად ასპექტზე ამახვილებს: საჭიროებებზე და განვითარებაზე. საჭიროებებში, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიოს დარბი მოსახლეობის საჭიროებები იგულისხმება, რომელსაც სხვების საჭიროებებთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება, განვითარებაში კი - ტექნოლოგიებისა და სოციალური წესრიგის პროგრესი, რომელიც გარკვეულ ფარგლებში უნდა მოექცეს, რათა შესაძლებელი გახდეს როგორც თანამედროვე, ისე მომავალი თაობის საჭიროებების დაკმაყოფილება.

ტურიზმი მსოფლიოში ფასდება, როგორც პოზიტიური გავლენების მქონე დარგი, თუმცა მისმა უკონტროლო განვითარებამ უკვე წარმოშვა სხვადასხვა სოციოკულტურული პრობლემა, სწორედ ამიტომ გახდა აქტუალური მდგრადი ტურიზმის განვითარება. ტურიზმი სხვადასხვა ფორმისგან შედგება, თუმცა აგროტურიზმი, ეკოტურიზმი და სოფლის ტურიზმი მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის იქცა გამოწვევად, როგორც გზა მდგრადი ტურიზმის განვითარებისაკენ. აშშ-ს ბუნებრივი რესურსების დაცვის სამსახური გამოყოფს აგროტურიზმის მდგრადობის ექვს ძირითად ელემენტს - ავთენტურობას, გართობას, ღირებულებებს, ურთიერთობებს, სწავლას და ჩართულობას.

ევროკავშირთან დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-9 თავის მიხედვით (შეთანხმება ძალაში შევიდა 2016 წლის 1

ივლისიდან), საქართველოს მხრიდან ორმხრივი და ევროპის დონეზე თანამშრომლობა უნდა დაეფუძნოს „ადგილობრივი თემების, განსაკუთრებით სოფლად, თვითმყოფადობისა და ინტერესების პატივისცემას, ადგილობრივი განვითარების საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით; ტურიზმის ხელშეწყობას მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებით ადგილობრივ თემებში“. შეთანხმების 333-ე მუხლის „ზ“ პუნქტის მიხედვით უნდა მოხდეს ღვინის ტურიზმისა და აგროტურიზმის ხელშეწყობა, ასევე სოფლის მეურნეობის წარმოების მოდერნიზაციისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; სოფლის განვითარების პოლიტიკის შესახებ ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სოფლის თემებში ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით; სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ბაზრებზე ყველა დაინტერესებული მხარისათვის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; ხარისხიანი პოლიტიკისა და მისი კონტროლის მექანიზმების ხელშეწყობა, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ჩათვლით.

საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025-ის მიხედვით, კონკურენტუნარიანობის გაზრდა უნდა მოხდეს მსოფლიო დონის ტურისტული მომსახურების შეთავაზების გზით, კერძოდ ტურიზმის ინდუსტრიაში ხარისხის, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების პროგრამების შემუშავებითა და სტანდარტიზაციის ხელშეწყობით.

აგროტურიზმის განვითარება ზრდის შემოსავლებს, რაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისათვის, ეს კი თავის მხრივ ქმნის აგროტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნისა და შემდგომ ეტაპზე უკვე მისი დანერგვისა და ადაპტაციის აუცილებლობას. კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნისას გათვალისწინებულია ორი ფაქტორი: 1. მდგრადი განვითარების პრინციპები და 2. აგარული მეურნეობისა და ტურიზმის ბიზნესის სინერგია. თავის მდგრადი განვითარების პრინციპების მისაღწევად აუცილებელია: მდგრადი ეკონომიკური განვითარება, სოციალური განვითარება და გარემოს

დაცვა. ეს სამი ფაქტორი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობს, თუმცა კვეთს ერთმანეთს და ქმნის მდგრადი განვითარების ქვაკუთხედს. რეგიონის მდგრადი ეკონომიკური განვითარება ფოკუსირებულია საზოგადოების კეთილდღეობაზე და ყველა ეკონომიკური საქმიანობის ხარჯეფექტურობაზე, ის ახდენს ისეთი საწარმოების შექმნის სტიმულირებას, რომლებიც გათვლილია დროის გრძელვადიან პერიოდზე. სოციალური მდგრადობა უზრუნველყოფს ადამიანების უფლებების დაცვასა და სოციალურ თანასწორობას ნებისმიერი სოციალური ფენისათვის. იგი მოითხოვს მიღებული სარგებლის თანაბრად გადანაწილებას, რომ აღმოფხვრილი იქნეს სიღარიბის დონე. სოციალური მდგრადობა ხელს უწყობს ადგილობრივ მოსახლეობას, რომ შეინარჩუნონ და გაზარდონ ცხოვრების ხარისხის დონე, აღიარონ და პატივი სცენ სხვა კულტურებს და აღკვეთონ მათი ნებისმიერი სახის ექსპლუატაცია. მესამე გარემოს მდგრადობა კი მოიცავს კონსერვაციისა და რესურსების მართვის მენეჯმენტის შემუშავებას, განსაკუთრებით ისეთი რესურსების მიმართ, რომელიც არ არის განახლებადი და აუცილებელია სიცოცხლისათვის.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია 2020 წლის დასაწყისშივე პროგნოზირებდა, რომ შიდა ტურიზმი საერთაშორისო ტურიზმზე უფრო მეტად მოთხოვნილი იქნებოდა, რაც რეალურად შესრულდა კიდევ. კარგად დაგეგმილმა სოფლის და აგროტურიზმმა საშუალება მისცა სახელმწიფოებს, რომ შიდა ტურიზმის საშუალებით მომხდარიყო ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირება. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ შეიმუშავა რეკომენდაციები და გაიდლაინები ტურიზმის „გადასატვირთად“, სადაც ხაზგასმულია ტურიზმის განვითარების მდგრადი და სტაბილური სამოქმედო გეგმის შემუშავების მნიშვნელობა სოფლის თემებისთვის, განსაკუთრებით COVID-19 კრიზისის ფონზე, რაშიც რა საკვირველია სოფლის ტურიზმი, ეკო ტურიზმი და აგროტურიზმი მოიაზრება.

გლობალური ტურიზმი შეჩერებულია COVID-19 პანდემიის ფონზე, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური ზარალი, სამუშაო ადგილების შემცირება და გაურკვეველობა, მაგრამ ამ პანდემიამ მსოფლიოს საშუალება მისცა ხელახლა წარმოაჩინოს ტურიზმი -

ადადგინოს ინდუსტრია, რომელიც უფრო უსაფრთხო, უფრო სამართლიანი და პლანეტის მიმართ ეკო მეგობრულია.

ეს არის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და FAO-ს მიერ საქართველოში აგროტურიზმის ახალი ინიციატივის წამოწყების მთავარი იდეაც. საქართველოს კულინარიული სიმდიდრე - მრავალი ქვეყნისთვის უნიკალურია - განსაცვიფრებელია, ასევე სოფლის პეიზაჟები და ლანდშაფტი.

მსგავსი მდგრადი აგროტურიზმი ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესისა და ადგილობრივი ეკონომიკის შენარჩუნებას - და მათ უფრო მდგრადი გახდის კრიზისების მიმართ. მას ამავდროულად შეუძლია შეინარჩუნოს საქართველოს კვების ტრადიციები და კულტურული მემკვიდრეობა. არსებული სიტუაციის მიხედვით აგროტურიზმს საშუალება აქვს უპასუხოს კრიზისული წლების მთავარ გამოწვევებს, პანდემიურ პერიოდშიც მიიზიდოს ადგილობრივი ტურისტების ყურადღება და საფრთხე არ შეუქმნას მათ ჯანმრთელობას. აგროტურიზმის განვითარებას შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს ის სოციალური და ეკონომიკური გავლენები, რაც პანდემიამ გამოიწვია და კრიტიკული გავლენა მოახდინა მათზე.

ბევრ რეგიონში სოფლის მეურნეობიდან ეკონომიკური მოგება მცირდება. ამავდროულად, კლიმატის ცვლილებისგან გამომდინარე წარმოიქმნება ცხოვრების ტრადიციული წესებიდან გადახვევის საფრთხე, მაგრამ იზრდება მოგზაურთა მოთხოვნა ბუნების, ადგილობრივი კულტურისა და პროდუქტების გარშემო ახალ გამოცდილებების შექმნის თვალსაზრისით, ამდენად საზოგადოების ჩართულობა, რეგიონს ეკონომიკური აღორძინების უზარმაზარ შესაძლებლობებს სთავაზობს.

სოფლად სამუშაო ადგილებისა და ეკონომიკური საქმიანობის ახალი შესაძლებლობების შექმნა მოითხოვს შესაბამის კავშირებს, ინვესტიციებს, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და მათი შენარჩუნების მხარდაჭერას, ციფრული ტექნოლოგიების განვითარებას, ადეკვატური უნარ-ჩვევებისა და პროდუქტების განვითარებას, რაც ბიზნესის და საჯარო სექტორის თანამშრომლობით მიიღწევა.

ტურიზმის საშუალებით ღირებულებების შექმნას უნდა მივუდგეთ ჰოლისტიკური მიდგომით, რომელიც მოიცავს ყველა სხვა სექტორსა და საქმიანობას ტურიზმის ღირებულების ჯაჭვში. კოვიდ 19-ის კრიზისმა უამრავ ადამიანს დააკარგვინა სამუშაო, ბევრი ადამიანი დაუბრუნდა სოფლად საკუთარ საცხოვრებელ ადგილებს, დაიწყეს საკუთარი საოჯახო მეურნეობებისა და საკუთარი ბიზნესის წამოწყებაზე დააფიქრა, რაც აგროტურიზმის განვითარებისთვის უფრო ხელსაყრელ გარემოებად შეიძლება იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, კიდევ უფრო აქტუალური გახდა აგროტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნა.

2020 წელი ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციამ ტურიზმისა და სოფლის ტურიზმის წლად გამოაცხადა, რადგან როგორც უკვე აღნიშნა, ამ უკანასკნელს აქვს საშუალება, რომ შექმნას სამუშაო ადგილები და წარმოაჩინოს რეგიონის განვითარების ახალი შესაძლებლობები. იგი ასევე ხაზს უსვამს ტურიზმის როლის ბუნებრივი რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებაში. სოფლის ტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარება ხელს უშლის რეგიონების დეპოპულაციას, რაც აჩერებს სოფლებიდან მიგრაციას.

გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, ურბანიზაცია დღესდღეობით მთელი მსოფლიოს ტრენდია და ნავარაუდევია, რომ 2050 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობის 68% იცხოვრებს სოფლად, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 80% სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანებისა ცხოვრობს სოფლად და არა ქალაქში. მსოფლიოს მასშტაბით დაბალი და საშუალო შემოსავლიანი ქვეყნების მოსახლეობის 1.8 მილიარდი ახალგაზრდა ცხოვრობს სოფლად, სამუშაო ადგილების არ არსებობის გამო კი ხდება მათი მობილობა და ადამიანური რესურსის გადინება. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ინფორმაციით დაუსაქმებელი ახალგაზრდა ადამიანების რაოდენობა 3-ჯერ აღემატება უფროსებისას. შესაბამისად, სამუშაო ადგილების არ არსებობის გამო, მიგრაცია სოფლებიდან ქალაქად, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში ლოგიკური მოვლენაა. ეს კი გამოუსწორებელ შეცდომებამდე მიგვიყვანს, რადგან იკარგება ადათ-წესები და კულტურული ფასეულობები.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია მიიჩნევს საქართველოს თავისი ისტორიული გასტრონომიული ტრადიციებით, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობითა და თვალწარმტაცი პეიზაჟებით აქვს პოტენციალი, რომ მომავალი ათწლეულის განმავლობაში კავკასიის რეგიონის მდგრადი აგროტურისტული ადგილი გახდეს.

საქართველოში ტურისტებს საშუალება აქვთ დააგემოვნონ ავთენტური ქართული კერძები და ღვინო, ისიამოვნონ ღია ცის ქვეშ და დააფასონ ბიომრავალფეროვნება, კვების მრავალფეროვნება და ტრადიციები, რაც ადგილობრივ გასტრონომიას ასე უნიკალურს ხდის.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი

აგროტურიზმის მიმართულებით, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების კერძოდ, ნიდერლანდების, სლოვენის, შვედეთის, უნგრეთის, ლატვიის, ალბანეთის, ესპანეთის, რუმინეთის, ესტონეთის, იტალიის, ბელორუსიის, საფრანგეთის, ავსტრალიის, საბერძნეთის, კვიპროსის, გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებისა და საქართველოში, კერძოდ შიდა ქართლის რეგიონში არსებული მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე აგროტურიზმის განვითარების პოტენციალის გამოვლენა, კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დასახულია ამოცანები:

- მდგრადი განვითარებისა და აგროტურიზმის შესახებ თეორიული ბაზის შესწავლა და ანალიზი.
- მსოფლიო ტენდენციების შესწავლა და აგროტურიზმის განვითარების არსებული მოდელების ანალიზი.
- ეროვნულ დონეზე აგროტურიზმის განვითარების ანალიზი, კერძოდ შიდა ქართლის რეგიონში, რომელიც აგრარული მიმართულებით წამყვანი რეგიონია, გამოირჩევა დედაქალთან სიახლოვით და იძლევა საინტერესო აგროტურისტული პროდუქტების შემუშავების საშუალებას.

- შიდა ქართლის რეგიონში აგრარული წარმოების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და აგრარული მეურნეობის დინამიკის შესწავლა.
- შიდა ქართლის რეგიონში აგროტურიზმის განვითარებისათვის რესურსებისა და პოტენციალის ანალიზი და რეგიონის თავისებურებების გამოვლენა.
- შიდა ქართლის რეგიონში აგროტურიზმში ჩართული მეწარმეების ბიზნეს გარემოს შესწავლა და ანალიზი.
- არსებული და პოტენციური (ადგილობრივი და უცხოელი) აგროტურისტების მიდგომების შესწავლა და ანალიზი აგროტურიზმთან მიმართებაში.
- აგროტურიზმსა და ტურიზმის ბიზნესის მდგრად განვითარებას შორის კავშირის დადგენა.
- აგროტურიზმის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი.
- შიდა ქართლის რეგიონში აგროტურიზმის განვითარებისათვის - აგროტურიზმის მნიშვნელობის დასაბუთება (ფაქტორული ანალიზი).
- შესწავლილი მასალისა და კვლევის შედეგების შეჯამება, ინტერპრეტაცია, განსჯა და ანალიზი.
- აგროტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავება.
- დასკვნების გაკეთება და რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომის ჰიპოთეზა

1. რესურსების სწორი გამოყენების შემთხვევაში აგროტურიზმი ტურიზმის მდგრადი განვითარების კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს კონცეპტუალურ ჩარჩოს.
2. შიდა ქართლის რეგიონს აგროტურიზმის განვითარებისთვის დიდი პოტენციალი გააჩნია, რომელიც თითქმის აუთვისებელია.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი

ნაშრომში თავმოყრილია იმ ექსპერტთა და მკვლევართა სამეცნიერო ხასიათის მასალები, რომლებიც აღიარებულნი არიან მსოფლიოს მასშტაბით საკვლევი საგნის ირგვლივ შემუშავებული ნაშრომებით, ანგარიშებით.

ტურიზმის მზარდი ინდუსტრია, რომელიც გამოირჩევა თავის კომპლექსურობით, პოპულარობით და გარემოსთან მრავალმხრივი კავშირურთიერთობითაა ცნობილი. ამის გამოა, რომ ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეფცია ითვალსწინებს:

1. ტურიზმის განვითარების ინტერესების თანხვედრა მომავალი თაობების მოთხოვნებთან;
2. ტურიზმის, ადგილობრივი ბიზნესის, მოსახლეობის, ადმინისტრაციის და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს;
3. ტურიზმის განვითარების კავშირს გარემოს მდგრად განვითარებასთან (მისი შემადგენელი ნაწილების – ბუნებრივი, ანთროპოგენული და ბუნებრივ-ანთროპოგენული – განვითარების ინტერესების გათვალისწინებით);
4. ტურიზმის და გარემოს მდგრადი განვითარების ურთიერთდაკავშირებულ სისტემას (დარგის გავლენა გეოგრაფიულ სისტემებზე და გარემოს გავლენა ტურიზმის განვითარებაზე)

დღეისათვის აგროტურიზმი მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიის ერთერთ დინამიურად განვითარებად მიმართულებას წარმოადგენს. აგროტურიზმის მზარდი პოპულარობა დიდ ინტერესს იწვევს ბუნებრივი გარემოს მიმართ, რომელიც ეყრდნობა მსოფლიოში ადამიანების სოფლის მეურნეობის შემცენების მაღალ დონეს.

როგორც მეცნიერი კანდამპული ხსნის, რომ ტურიზმი წარმოადგენს უნიკალურ პროდუქტს, რომელიც შედგება მატერიალური და არამატერიალური ძეგლებისგან, რომელიც მოიცავს ყველაფერს, რისი საშუალებითაც ტურისტები მიიღებენ

გამოცდილებას. ტურიზმის არაერთი ფორმა არსებობს, მაგალითად, როგორცაა ეკო ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, გასტრონომიული ტურიზმი, ღვინის ტურიზმი, აგროტურიზმი, სოფლის ტურიზმი და სხვა.

შარპლეი აღნიშნავს, რომ უამრავმა დესტინაციამ განიცადა მყისიერი, დაუგეგმავი და უკონტროლო განვითარება. ყოველივე ამან წარმოშვა სხვადასხვა ნეგატიური ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები. სხვა მკვლევარები, მაგალითად როგორებიც არიან გიბსონი ბარკ და ფრანს, კოკერელი, ლეონტიდოუ, ევანს, კემპბელ და სტოუნჰაუსი ტურიზმის განვითარების სანაცვლოდ ქვეყანა იხდის „გადასახადს“, დანიშნულების ადგილის ბუნებრივი და სოციალური გარემოს გაუარესების თვალსაზრისით. სხვა მკვლევარები, მაგალითად, მილი და მორისონი ასევე ყურადღებას ამახვილებენ ტურიზმის საზიანო ეფექტებზე. ისინი ხაზგასმით საუბრობენ ინფრასტრუქტურაზე, რომელიც შეიძლება ვერ გაუმკლავდეს ტურისტების ჭარბ რაოდენობას. მათი აზრით, ტურიზმი თავის მხრივ იწვევს, სოციალური ფასეულობების შეცვლასა და ადგილობრივი მოსახლეობის წეს-ჩვეულებების, ტრადიციული ქცევისა და ქცევის სტანდარტების დაკარგვას. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ ადგილობრივი მოსახლეობა იწყებს ტურისტების ცხოვრების სტილის მიბაძვას. ამასთან ერთად ტურიზმის განვითარებასთან ერთად იზრდება კრიმინალის რიცხვი, ასევე ჩნდება საკუთარი ენის დაკარგვის ან და მასში ცვლილებების ალბათობა (მაგ. ინგლისური და ფრანგული ტერმინების დამკვიდრება), შესაბამისად, ადგილი აქვს ტერიტორიის თავდაპირველი მიმზიდველობის დაკარგვის რისკს.

დანიშნულების ადგილები განიცდიან ტრადიციული ინდუსტრიებისა და ადგილობრივი ნატურალური პროდუქციის დაკარგვის რისკს, რაც შეიძლება ჩაანაცვლოს იმპორტირებულმა მასობრივად წარმოებულმა საქონელმა, რომელსაც არ აქვს ავთენტურობა. ტურიზმი ასევე გავლენას ახდენს ბუნებრივ გარემოზე. მიმზიდველი ბუნებრივი გარემო შეიძლება გააფუჭოს ზედმეტი ტურიზმის განვითარებამ, იგივე უვერტურიზმმა, რამაც შეიძლება დააზიანოს ტერიტორიის ფლორა და ფაუნა, გამოიწვიოს ნარჩენების განადგურების პრობლემები და ზეწოლა მოახდინოს

წყალმომარაგებაზე. გარდა ამისა, მას შეუძლია შექმნას ჰაერისა და მიწის უფრო მეტი დაბინძურება გადატვირთული ობიექტების, მანქანების, ავტობუსების და საჰაერო მიმოსვლის გაზრდის შედეგად.

მეთოდოლოგია და კვლევის აღწერა

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ფარგლებში 2017-2021 წლებში, აგროტურიზმის, როგორც ტურიზმის ბიზნესის მდგრადი განვითარების მძლავრ და ეფექტურ კომპონენტის შესასწავლად და შიდა ქართლის რეგიონისთვის კონცეპტუალური ჩარჩოს შესაქმნელად განხორციელდა კვლევები. ისინი ეფუძნება პირველადი და მეორადი ინფორმაციის დამუშავებას; ამდენად, ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს სამთავრობო უწყებების (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საჯარო რეესტრის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ღვინის ეროვნული ადმინისტრაცია), სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რაოდენობრივი მონაცემები და პროგრამული დოკუმენტები და სხვადასხვა პუბლიკაციები. ასევე, დამუშავებულია ტურიზმის და აგრარული მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები, გამოთხოვილია მონაცემები, შიდა ქართლის ოთხივე მუნიციპალიტეტისგან და ადგილობრივი ორგანიზაციებისგან).

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია, ტურიზმის დარგში არსებული მონაცემების ორივე ძირითადი წყარო - პირველადი და მეორადი. პირველადი კვლევა უკავშირდება პირველად მონაცემების შეგროვებას პრობლემის გადასაწყვეტად და მეორადი კვლევა უკავშირდება სხვა მიზნებისთვის უკვე არსებულ შეგროვილ მონაცემებს. ნაშრომში მეორადი ინფორმაციის ანალიზში გამოყენებულია კვლევის ორივე მთავარი ტიპი, კერძოდ როგორც სამეცნიერო, ასევე კვლევითი ლიტერატურა - ჯამში 326.

კვლევის რაოდენობრივი მეთოდი შეირჩა, რადგან რაოდენობრივი კვლევის დროს კვლევის პროცესი იმგვარად წარიმართება და საკვლევო საკითხი იმგვარად დაისმის, რომ შეგროვილ იქნას რაოდენობრივი მონაცემები (ან ისეთი თვისებრივი მონაცემები, რომ შესაძლებელი იყოს მათი თვლადი სახით გადატანა). ასეთი

მონაცემების დამუშავება განხორციელდა სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გამოყენებით. რაოდენობრივი კვლევის განხორციელებისას შერჩეული იქნა კვლევის ისეთი ინსტრუმენტი, როგორცაა მასობრივი გამოკითხვა. აღნიშნული კვლევა შედგებოდა შემდეგი საფეხურებისაგან: საკვლევი ჰიპოთეზის შემუშავება, სტრუქტურებული კითხვარის შემუშავება, სამიზნე ჯგუფების კვლევა, მონაცემების დამუშავება და განხორციელებული კვლევის ანგარიშის წარმოდგენა.

კვლევის თვისებრივი მეთოდი შეირჩა, რადგან მისი გამოყენების დროს კვლევის პროცესი იმგვარად წარიმართება და საკვლევი საკითხი იმგვარად დაისმის, რომ შეგროვილ იქნას თვისებრივი მონაცემები (ისეთი მონაცემები, რომელთა რაოდენობრივი დათვლა და/ან გაზომვა შეუძლებელია - სხვადასხვა ტექსტები, შთაბეჭდილებები, მოსაზრებები გამოკითხვებისა ან ინტერვიუს მეშვეობით და ა.შ.). სიღრმისეული ინტერვიუ ძირითადად „ღია“ კითხვებზე დაყრდნობით წარიმართა, ანუ ისეთ კითხვებით, რომლებიც არ სთავაზობენ რესპონდენტებს პასუხის შესაძლო ვარიანტებს. ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემისას რესპონდენტებს სრული თავისუფლება ენიჭებათ საკუთარი აზრის გამოხატვათ, მკვლევარი არანაირად არ „უბიძგებს“ მათ გარკვეული კატეგორიის პასუხებისაკენ. თვისებრივი კვლევა დაყრდნო თოვლის გუნდის პრინციპს, ყოველი მომედვნო ექსპერტი, შეირჩა წინარე ექსპერტის საფუძველზე. სულ გამოკითხა: 14 ადგილობრივი და 15 უცხოელი ექსპერტი, 7 ბიზნეს სუბიექტი.

კვლევის შედეგები

კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა:

ნაშრომში გაანალიზებულია აგროტურისტული საქმიანობის სხვადასხვა დეფინიციები და მათი ანალიზის საფუძველზე მოცემულია შემაჯამებელი დეფინიცია; მოცემული ნაშრომი პირველი მცდელობაა საქართველოში, სადაც აგროტურიზმი და ტურისტული ბიზნესის მდგრადი განვითარება ერთმანეთთან კავშირში განხილულია სამეცნიერო დონეზე; ნაშრომში აგროტურიზმი განხილულია ტურიზმის ბიზნესის მდგრადი განვითარების კომპონენტის ჩრილში; შესწავლილია შიდა ქართლის აგროტურისტული რესურსები და მათი პოტენციალი;

წარმოდგენილია შიდა ქართლის რეგიონში აგრარული წარმოების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და აგრარული მეურნეობის დინამიკა; გაანალიზებულია შიდა ქართლში აგროტურიზმის განვითარების ხელისშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები; გამოკვლეულია რეგიონის მეწარმეთა/ბიზნეს სუბიექტების მზაობის დონე აგროტურისტულ ბიზნესში ჩასართავად; განხორციელებულია შიდა ქართლის რეგიონში აგროტურიზმში ჩართულ მეწარმეთა და არსებული და პოტენციური ვიზიტორთა (ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების) კვლევა; გაანალიზებულია აგროტურიზმის გავლენა რეგიონის სოციო-ეკონომიკურ განვითარებაზე; შიდა ქართლის რეგიონისთვის წარმოდგენილია აგროტურისტული მომსახურების და პროდუქტების ის სავარაუდო სახეები, რომლებიც შეიძლება აგროტურისტულმა ობიექტებმა შესთავაზონ ვიზიტორებს.

სამეცნიერო თეორიული ბაზისა და განხორციელებული სოციოლოგიური კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია შიდა ქართლის რეგიონში აგროტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეპტუალური ჩარჩო, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, რომ აგროტურიზმის განვითარება მოხდეს ტურიზმის ბიზნესის მდგრადი განვითარების ფარგლებში. აღნიშნული კონცეპტუალური მოდელი შესაძლებელია ადაპტირდეს სხვა რეგიონებისთვისაც. შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელიც სასურველია გათვალისწინდეს, როგორც საქართველოს დანარჩენ რეგიონებში, ასევე სხვადასხვა ქვეყნის აგროტურისტული ობიექტების მიერ.

განსჯა და მეცნიერული მიგნებები

სადისერტაციო ნაშრომში ქართულ აკადემიურ სივრცეში პირველად მოხდა ტერმინის „აგროტურისტის“ შემოტანა, რომელიც განხორციელებული კვლევის თანახმად, აღნიშნავს ადამიანს, რომელიც ამა თუ იმ რეგიონს სტუმრობს აგროტურისტული ობიექტის მიერ შემოთავაზებული მომსახურებების და სერვისების მისაღებად.

მეორადი ინფორმაციის ანალიზმა ასევე გამოავლინა, რომ მდგრადობა ზოგჯერ წარმოადგენს მარკეტინგულ ხრიკს და არა

ბიზნესის ძირითად კომპონენტს და დესტინაციის სტრატეგიას, რაც უარყოფით შედეგს იძლევა.

აგროტურიზმი კლასტერები და ქსელები განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს აგროტურიზმის განვითარებაში, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, სადაც ლიმიტირებული რესურსებია.

აგროტურიზმი არის ნამდვილი სოფლის მეურნეობის გამოცდილება სამუშაო ფერმებში. ზოგჯერ სოფლად არსებული ობიექტები, რომლებიც არ არიან ფერმები, საკუთარ თავს აგროტურიზმს უწოდებენ, როდესაც ასე არ არის. შესაბამისად კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნისას მკვეთრად უნდა განისაზღვროს რა არის აგროტურისტული ობიექტი.

აგროტურიზმი მიჩნეულ იქნა მიგრაციის შეჩერების, სოფლად დასაქმებისა და ბიზნესის დივერსიფიცირების გზად. აგროტურიზმს აქვს პოტენციალი, რომ ჰქონდეს პოზიტიური გავლენა ადგილობრივ ეკონომიკაზე და მოსახლეობაზე, იმ შემთხვევაში თუკი არსებობს მოთხოვნა აგროტურისტულ პროდუქტებზე და მომსახურებაზე. მოთხოვნა, საქართველოში აგროტურიზმის განვითარებაზე არსებობს, ეს რაოდენობრივმა კვლევამაც დაადასტურა, შესაბამისად აგროტურიზმის განვითარება საქართველოს რეგიონებისთვის, განსაკუთრებით შიდა ქართლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მას აქვს აგროტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელი პოტენციალი, ამასთან ადგილობრივ მოსახლეობას აქვს დასაქმების პრობლემა და სოფლებში ფიქსირდება მოსახლეობის მიგრაცია, ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური და სენსიტიურია შიდა ქართლისთვის, რადგან მისი სოფლები ძალიან ახლოს მდებარეობს კონფლიქტის ზონასთან და ადგილობრივი მოსახლეობა რიგ შემთხვევებში იძულებული ხდება დატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი.

სამეცნიერო სივრცეში არაერთი მოსაზრება არსებობს აგროტურიზმის მდგრად განვითარებასთან და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, როგორც განხილულ მეორად ინფორმაციაში გამოვლინდა, ნაწილი მეცნიერებისა მას მიიჩნევს, როგორც მდგრადი განვითარების ინსტუმენტს, ნაწილი როგორც მექანიზმს, სადისერტაციო ნაშრომში, იგი წარმოდგენილია

როგორც მდგრადი განვითარების კომპონენტი. ექსპერტების მხრიდან საინტერესო იყო მოსაზრების გაზიარება, თუ როგორ მიიჩნევენ ისინი ამ ფორმულირებას. კვლევამ გამოავლინა, რომ ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, მას როგორც ერთ-ერთ კომპონენტს და არა ერთადერთ ალტერნატივას. აღსანიშნავია, აქ ერთ-ერთი ექსპერტის პოზიცია, რომელმაც აღნიშნა, რომ აგროტურიზმი ნამდვილად არის ტურიზმის ერთ-ერთი მდგრადი მიმართულება, რადგან იგი ორიენტირებულია არა მასობრივ ტურიზმზე არამედ ინდივიდუალურ ტურიზმზე, ადგილობრივ თემზე და მათ განვითარებზე, რაც თავისთავად პასუხსობს მსოფლიო მდგრად მიზნებს. თუმცა მნიშვნელოვანია მართვის სწორი ფორმის შერჩევა მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის წერტილის განსაზღვრა, გარემოზე ზრუნვა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინება. სწორედ აქაც დასტურდება კონცეპტუალური ჩარჩოს არსებობის აუცილებლობა, რომ აგროტურიზმის განვითარებამ უპასუხოს მდგრადი განვითარების მოთხოვნებს და განვითარდეს სწორად და არა ქაოტურად. აღსანიშნავია ასევე სხვა ექსპერტის მოსაზრება, რომელმაც აღნიშნა, რომ აგროტურიზმი ზოგიერთი რეგიონისთვის შეიძლება იყოს მთავარი მამოძრავებელი, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ეს მხოლოდ ადგილობრივი/რეგიონის ტურიზმის განვითარების საერთო სტრატეგიის ნაწილია.

კვლევამ გამოავლინა, რომ საკმაოდ ბევრი რამ აქვთ საერთო სოფლის ტურიზმსა და აგროტურიზმს. ერთი ძირითადი განსხვავება იმაშია, რომ აგროტურიზმი ხდება ფერმაში ან / და მას მჭიდრო კავშირი აქვს სოფლის მეურნეობასთან, ხოლო სოფლის ტურიზმს არ აქვს აუცილებლობა, რომ ჰქონდეს შეხება სოფლის მეურნეობასთან.

აგროტურიზმი შეიძლება არსებობდეს ურბანულ მეურნეობაში, ამიტომ არ არის აუცილებელი, რომ ის იყოს სოფლის ტურიზმის ნაწილი, თუმცა ეს ხშირად ხდება.

მდგრად აგროტურიზმს შეუძლია არა მხოლოდ ხელი შეუწყოს ადგილობრივი ეკონომიკის გამოცოცხლებას და მცირე ბიზნესის შენარჩუნებას, არამედ შეინარჩუნოს ის, რაც განასხვავებს საქართველოს და შიდა ქართლს, გასტრონომიიდან დაწყებული ბუნების საოცრებამდე დამთავრებული. საბოლოო ჯამში, მას

შეუძლია ხელი შეუწყოს უკეთეს წარმოებას, შექმნას უკეთესი გარემო და უკეთესი ცხოვრების დონე რეგიონში მაცხოვრებელთათვის და მცირე მეწარმეებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომში, შიდა ქართლის მაგალითზე მდგრადი აგროტურიზმი ჩამოყალიბებულია როგორც ახალი დარგობრივი/მეცნიერული მიმართულება და მიჩნეულია მდგრადი განვითარების მთავარ კომპონენტად.

კვლევის შედეგები აგროტურიზმთან და სოფლის ტურიზმთან მიმართებით შიდა ქართლის რეგიონის მაგალითზე ცვლის არსებულ მეცნიერულ მიდგომას და ადასტურებს, რომ არსებული რეალობის მიხედვით, რთულია საზღვრის გავლება აგროტურიზმსა და სოფლის ტურიზმს შორის, საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ აგროტურისტული ობიექტისთვის სტატუსის მისანიჭებლად არ არსებობს შემზღუდავი წინაპირობა ობიექტის ადგილმდებარეობის ადმინისტრაციულ სტატუსთან მიმართებით (შესაძლებელია მდებარეობდეს მათ შორის დედაქალაქში); თუმცადა სოფლის ტურიზმის დანიშნულების ადგილის სტატუსის მისანიჭებლად, აუცილებელია ობიექტი მდებარეობდეს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ, დაბაში ან სოფლად. გარდა ამისა, აგროტურისტული ობიექტისთვის, ტურიზმი უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ დამატებით და არა ძირითად შემოსავლის წყაროს.

კვლევის შედეგები, ასევე ცვლის არსებულ მეცნიერულ მიდგომას ცალკეული ფუნდამენტური საკითხის მიმართ, კერძოდ, შესაძლებელია კონკრეტული რეგიონის მაგალითზე მორგებული აგროტურიზმის დეფინიციის შემუშავება და შემდეგ მისი აგროტურიზმის განვითარების სტრატეგიაში ადაპტირება. ანალოგიური პრაქტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნას აგროტურისტული ობიექტის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით და სტატუსის მინიჭება განხორციელდეს რეგიონის ჭრილში, ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე.

სადისერტაციო ნაშრომში შემუშავებულ კონცეპტუალურ ჩარჩოში, წარმოდგენილია ის ახალი ელემენტები, რომელიც თეორიულ ღირებულებათა სისტემას ავსებს პრაქტიკული ელემენტებით და

აგროტურიზმის ჭრილში გვთავაზობს მიდგომას, რომელიც აგროტურიზმის მდგრადი განვითარების კომპონენტად ქცევის საშუალებას იძლევა.

ნაშრომში შესწავლილი თეორიული მასალის საფუძველზე წარმოდგენილი შეფასება მდგრად აგროტურიზმის დეფინიციასთან მიმართებით, საერთაშორისო დონეზე იძლევა ახლებური ინტერპრეტაციის საშუალებას.

სადისერტაციო ნაშრომის საშუალებით ქართულ აკადემიურ სივრცეში შემოტანილია ტერმინი „აგროტურისტი“, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკურ მონაცემებში შეისწავლება დამოუკიდებელ ცვლადად. საქართველოში “აგროტურისტის” დეფინიციის მიღება სტატისტიკური მონაცემებში მისი გამოყენების შესაძლებლობას შექმნის.

ნაშრომში შემოტანილი მდგრადი აგროტურიზმის დეფინიციის კანონმდებლობაში გამოყენება ხელს შეუწყობს დღეს არსებული თეორიული და პრაქტიკული პრობლემის გადაწყვეტას მდგრადი აგროტურისტული ობიექტის სტატუსის მიანიჭებასთან დაკავშირებით.

ნაშრომში დაზუსტებული პრაქტიკული აქტივობები ხელს შეუწყობს მდგრადი აგროტურიზმის განვითარებას და ადგილობრივი მეწარმეებისათვის პრაქტიკული პრობლემის გადაწყვეტას, აგროტურისტულ დანიშნულების ადგილზე მომსახურების შეთავაზების თვალსაზრისით.

წარმოდგენილი კონცეპტუალური ჩარჩო ხელს შეუწყობს ლოკალური დონეზე, შიდა ქართლისთვის არსებული პრობლემის გადაწყვეტას, თეორიულ დონეზე გვთავაზობს სამეცნიერო კვლევაზე დაყრდნობით შემუშავებულ კონცეპტუალურ მოდელს, რომელის დანერგვის შემთხვევაშიც შესაძლებელს გახდის პრაქტიკული პრობლემის გადაწყვეტა, როგორც შიდა ქართლში, ასევე მის მსგავს რეგიონებში.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ახალი დარგობრივი მიმართულება, რომელიც შეიცავს თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებათა სისტემას და იძლევა მისი ადაპტირების შესაძლებლობას. ამასთან, წარმოაჩინს მდგრადი

აგროტურიზმის განვითარების პოტენციალს და გამოკვეთს შიდა ქართლის რეგიონის განვითარების ახალ პერსპექტივებს.

ნაშრომში წარმოდგენილი მეცნიერული სიახლეები, მათ შორის ახალი ტერმინების შემოტანით, დეფინიციების დაზუსტებით, ფაქტორების შემუშავებითა და განალიზებით, ხელს შეუწყობს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე აკადემიური და პრაქტიკული თვალსაზრისით გამოყენების საშუალებას.

დასკვნა

სამეცნიერო-თეორიული მასალისა და ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების შედეგების შესაბამისი მეთოდოლოგიური ანალიზის მიხედვით სადისერტაციო ნაშრომში დასახული მიზნები მიღწეულია, ვერიფიცირებულია ჰიპოთეზები იმის შესახებ, რომ:

1. რესურსების სწორად გამოყენების შემთხვევაში აგროტურიზმი ტურიზმის ბიზნესის მდგრადი განვითარების კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს კონცეპტუალურ ჩარჩოს. განხორციელებული კვლევის საფუძველზე ჩვენს მიერ წარმოდგენილი კონცეპტუალური ჩარჩო:
 - შედგება ფაქტორებისგან, რომლებიც ქმნიან ერთიან ჯაჭვს და განაპირობებენ აგროტურიზმის ბიზნესის მდგრად განვითარებას. ეს ფაქტორებია: კანონმდებლობა, საგადასახადო შეღავათები, ტურიზმის ქსელები, ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ზრდა, სახელმწიფო გრანტები და პროგრამები, აგროტურიზმის განვითარების სტრატეგია შიდა ქართლის რეგიონისთვის; ინფრასტრუქტურის განვითარება; გადამზადების პროგრამების ხელშეწყობა; მდგრადი განვითარების შეფასების ინდიკატორების დანერგვა; რეგიონის ცხოვრების სტილი და რეგიონის მახასიათებლები - კონფლიქტურ ზონასთან სიახლოვიდან გამომდინარე ვიზიტორის უსაფრთხოებისათან დაკავშირებული საკვანძო საკითხების მოგვარება, საკურორტო და მაღალმთიანი ზონების ხელშეწყობა; ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების და ატრიბუტიკების, ხალხური რეწვის ტრადიციებისა და ადგილობრივი კერძებისა და

ადგილწარმოშობის პროდუქტების პოპულარიზაცია; განთავსების საშუალებების განვითარება; სასოფლო-სამეურნეო აქტივობებზე დაყრდნობით აგროტურისტული მომსახურებებისა და სერვისების დანერგვა.

- უზრუნველყოფს აგროტურიზმის განვითარებას, ადგილობრივი ეკონომიკის გამოცოცხლებას და მცირე ბიზნესის წახალისებას, რაც იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.
- განაპირობებს რესურსების სწორად გამოყენებას და საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნებას, გასტრონომიიდან დაწყებული ბუნების საოცრებამდე დამთავრებული; ხელს უწყობს მატერიალური და არამატერიალურ კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და ტრადიციების შენარჩუნებას.
- გააძლიერებს კულტურათმშორისი ურთიერთქმედებას სოციალურად არაერთგვაროვან ჯგუფებს შორის, ასევე გამოიწვევს რეგიონის ფასეულობის ზრდას, უზრუნველყოფს ახალგაზრდების დაბრუნებას სოფლად და საოჯახო ბიზნესის გაძლიერებას, თაობებს შორის ინფორმაციის გაცვლას და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ტრადიციების თაობიდან-თაობაზე უწყვეტ რეჟიმში გადაცემას.
- ადასტურებს აგროტურიზმის ბიზნესის მდგრადი განვითარების აუცილებლობას და მის მნიშვნელობას.
- რეგიონში მდგრადი აგროტურიზმის განვითარებაზე გავლენას ახდენს მისი მახასიათებლები, რესურსების ხელმისაწვდომობა და საკანონმდებლო რეგულაციები.
- აგროტურიზმის ქაოტური განვითარება, კონცეპტუალური მოდელის, კანონმდებლობისა და რეგულაციების გარეშე უარყოფითად აისახება არამარტო ტურიზმის არამედ რეგიონის მდგრად განვითარებაზე.
- აგროტურიზმის მდგრადი განვითარება, საშუალებას მოგვცემს შევამცროთ უარყოფითი ეფექტები გარემოზე, მათ შორის აგრარული საქმიანობისგან გამოწვეული, ხელი შევუწყოთ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული წესებისა და ტრადიციების თაობიდან - თაობაზე გადაცემას და ვიზიტორებისთვის გაზიარებას.

- აგროტურიზმი ერთმნიშვნელოვნად დადებითად შეფასდა ადგილობრივ ეკონომიკაზე და მოსახლეობაზე გავლენის თვალსაზრისით.
- ინსტრუმენტებში, რომლებითაც შესაძლებელია მოხდეს მდგრადი აგროტურიზმის განვითარება გამოიყო: სახელმწიფოს ჩართულობა და საკანონმდებლო რეგულაციები.
- განხორციელებული თვისებრივი კვლევის თანახმად აგროტურიზმთან და სოფლის ტურიზმთან მიმართებით თანხვედრაშია ერთმანეთთან და მას განიხილავენ, როგორც რეგიონის უნიკალურობის შენარჩუნების გზად, იგივეს ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვაც.

2. შიდა ქართლის რეგიონს აგროტურიზმის განვითარებისთვის დიდი პოტენციალი გააჩნია, რომელიც თითქმის აუთვისებელია. როგორც განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა, შიდა ქართლში აგროტურიზმის განვითარებას ხელს უშლის:

- შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების არ ქონა, მათ შორის მდგრად ტურიზმთან აგროტურიზმთან მიმართებაში.
- ადგილობრივი ტურიზმის განვითარების სტრატეგიებისა და მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვის არ არსებობა, როგორც ადგილობრივ ასევე ეროვნულ დონეზე.
- შიდა ქართლის რეგიონში აგროტურიზმის მდგრად განვითარებას ხელს უშლის აგროტურისტული პროდუქტების ნაკლები დივერსიფიცირება, რაც წარმოქმნის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის სიცარილეს (gap).

სამეცნიერო-თეორიული მასალისა და ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ:

- არ არსებობს აგროტურიზმის განმარტების ერთი დეფინიცია და ის ყველა ქვეყნისთვის ინდივიდუალურია (აშშ-ს შემთხვევაში შტატის დონეზეც).
- ყველა ქვეყნის გამოცდილება არის უნიკალური და მორგებული ქვეყნის ინტერესებსა და პოტენციალზე.
- საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით მხოლოდ კანონი აგროტურიზმის შესახებ, ვერ ახდენს აგროტურიზმის რეგულირებას და მას კომპლექსური

მიდგომა სჭირდება, როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალური ხელისუფლების დონეზე.

- საკმაოდ ბევრი რამ აქვთ საერთო სოფლის ტურიზმსა და აგროტურიზმს. ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება იმაშია, რომ აგროტურიზმი მოიცავს ფერმერულ საქმიანობას ან / და მას მჭიდრო კავშირი აქვს აგრარულ მეურნეობასთან, ხოლო აგროტურიზმი მისი მეპატრონეებისთვის წარმოადგენს დამატებით შემოსავლის წყაროს, ასევე შესაძლებელია მდებარეობდეს ურბანულ მეურნეობაში, ხოლო სოფლის ტურიზმს არ აქვს აუცილებლობა, რომ ეწეოდეს ფერმერულ და აგრარულ საქმიანობას, მისით დაკავებისთვის აუცილებელია, რომ მდებარეობდეს სოფლად, ვიზიტორებს სთავაზობდეს გარკვეული ტიპის მომსახურებებს და იყენებდეს ადგილობრივ ნატურალურ პროდუქციას. მიუხედავად მათ შორის არსებული ასეთი ტიპის განსხვავებებისა, როგორც კვლევამ გამოველინა, რიგ შემთხვევებში ისინი ერთად განიხილება, რიგ შემთხვევებში კი აგროტურიზმს სოფლის ტურიზმის ნაწილადაც მოიზრებენ. საქართველოს მაგალითზე კი რთულია მათ შორის მკვეთრი ზღვრის გავლება.
- აგროტურიზმის ბიზნესი, თანამდროვე ტურისტულ ბაზარზე ტურიზმის ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მისი მნიშვნელოვანი გამოწვევაა და მისი განვითარება მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ხდება, სხვადასხვა მექანიზმებითა (საგადასახადო რეგულაციები, კანონმდებლობა, სტრატეგიები, კონცეპტუალური მოდელები, ქსელების შექმნა და სხვა) და ღონისძიებებით, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე.
- კახეთის რეგიონი შიდა ქართლისთვის, ერთ-ერთი ძლიერი კონკურენტია, თუმცა შიდა ქართლის რეგიონში აგრარული წარმოების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისა და აგრარული მეურნეობის დინამიკის ანალიზით დასტურდება, რომ ის საქართველოში ერთ-ერთი მოწინავე რეგიონია, ეს კი აგროტურიზმის განვითარების წინაპირობაა და მის პოტენციალს უსვამს ხაზს.
- შიდა ქართლის რეგიონს კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად აგროტურიზმის განვითარების

მრავალფეროვანი რესურსი აქვს. რეგიონში არსებული რესურსები საშუალებას აძლევს, მოხდეს მიწოდების დივერსიფიცირება და შეიქმნას აგროტურისტული პროდუქტები: მეხილეობის, მეღვინეობის, მეფუტკრეობისა და სხვა საქმიანობის ბაზაზე, ხოლო ტურისტულ პროდუქტში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა შერწყმული უნდა იქნეს კულინარიასთან, ხალხურ რეწვასთან და სხვა მატერიალურ, თუ არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობასთან. შიდა ქართლის რეგიონი გამოირჩევა ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლით - 269 ობიექტი (ხაშურის მუნიციპალიტეტი: 72; ქარელში - 45, კასპში და გორში 76-76), რაც მოცემულ რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს.

- შიდა ქართლის კონკურენტული უპირატესობებია: დედაქალაქთან სიახლოვე; ადგილწარმოშობის ღვინო (მაგ. ატენური); კლიმატური პირობები; კულტურული ძეგლები; ადგილობრივი სამზარეულო; განვითარებული აგრარული მეურნეობა; ტრადიციული რეწვის კულტურა.
- ადგილობრივ ვიზიტორებს შორის აგროტურიზმის განვითარების პოტენციალის მხრივ შიდა ქართლი კახეთის რეგიონის მერე მეორე ადგილზეა. იგივე შედეგები გამოვლინდა ადგილობრივი ექსპერტების გამოკითხვისასაც, რაც განპირობებულია კახეთის რეგიონის უფრო მეტად პოპულარიზაციითა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებით.
- აგროტურიზმის ბიზნესის მდგრადი განვითარების პირობებში აგროტურისტული ობიექტი შიდა ქართლის რეგიონში, ვიზიტორებს უნდა სთავაზობდეს:
- საგანმანათლებლო აქტივობებს: ინფორმაციის მიწოდება მდგრადი განვითარების შესახებ; გაცნობითი ხასიათის ექსკურსიები არსებულ და ისტორიულ ფერმაში; სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო-შემეცნებით აქტივობების შეთავაზება (თაფლის ამოღება; ყველის ამოყვანა; ყვავილების დარგვა, მოსავლის აღება და სხვ.);
- სტუმარ-მასპინძლობის სერვისებს: ფერმის ტერიტორიაზე განთავსება სხვადასხვა ფორმებით (კარვებით; შესაძლებელია ჰქონდეს მცირე ზომის რამდენიმე

ნომრიანი სასტუმრო სახლი და სხვ.); კვების ობიექტი, რომელიც იყენებს ადგილობრივ ნატურალურ პროდუქციას;

- პირდაპირ გაყიდვებს: საკუთარი და სხვა ადგილობრივი მეწარმეების მიერ წარმოებულ ნატურალური პროდუქციისა და ადგილობრივი, ხელნაკეთი ნივთების რეალიზაციას;
- გართობას: დეგუსტაციები; ფესტივალებისა და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა ღია ცის ქვეშ.
- დამწყები ბიზნეს ოპერატორებისათვის არის ფინანსურ რესურსებზე მწირი ხელმისაწვდომობა, რაც განპირობებულია საგრანტო კონკურსების პირობების დაუკმაყოფილებლობით.
- აგროტურისტული მომსახურებებისა და პროდუქტების მიმართ საჭიროებები, დამოკიდებულებები და შეხედულებები განსხვავებულია ადგილობრივ და საერთაშორისო ვიზიტორებს შორის.
- ადგილობრივი ვიზიტორები ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას იმ მომსახურებებისა და პროდუქტების შესახებ, რომლის შეთავაზებაც შეუძლია შიდა ქართლის რეგიონს.
- საერთაშორისო ვიზიტორების მიერ გაკეთებული შეფასებებით ვლინდება, რომ ადგილობრივ ვიზიტორებთან შედარებით მათ უკეთ აქვთ აღქმული აგროტურიზმი და ჩამოყალიბებული აქვთ სწორი მოლოდინები აგროტურისტული ობიექტის სერვისისა და აგროტურისტული პროდუქტების მიმართ, რაც შეიძლება ითქვას, რომ ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს მათი გამოცდილებიდან.
- ოთხივე ჯგუფების (ადგილობრივი, საერთაშორისო, გამოცდილებითა და გამოცდილების გარეშე ვიზიტორები) ანალიზით გამოვლინდა, რომ არსებობს ფაქტორები, რომლებიც მათ ყველა მათგანის გადაწყვეტილებაზე ერთნაირად ახდენს გავლენას (მაგ: ადგილმდებარეობა, ფასი, ხარისხი და სხვ.). თუმცა არის ფაქტორები, რომლებზეც განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ გამოცდილების მქონე ადგილობრივ და საერთაშორისო ვიზიტორებს.

- ადგილობრივ და საერთაშორისო ვიზიტორებზე მოქმედი ფაქტორები ჯგუფდება სხვადასხვა ცვლადების მიხედვით, რომლებიც ლოგიკურადაც უკავშირდებიან ერთმანეთს, კომფორტული განთავსების მომლოდინე მომხმარებლისთვის ამავე დროს მნიშვნელოვანია სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურაც, ისევე, როგორც მანძილი, ფასი და ადგილმდებარეობა.
- ადგილობრივი პოტენციური ვიზიტორების ფაქტორული ანალიზის შედეგად, გამოვლინდა, რომ პოტენციური მომხმარებლებიც აგროტურისტული ობიექტების შერჩევისას გარკვეულწილად პრიორიტეტულობის მიხედვით ახდენენ ცვლადების დაჯგუფებას. მათთვის ერთ ფაქტორულ ჯგუფში მოიაზრება უსაფრთხოება, მეგობრული გარემო, ეკოლოგია, ინფრასტრუქტურა და კვების შეთავაზება ფერმაში.
- პოტენციური საერთაშორისო ვიზიტორების, ფაქტორული ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილ ფაქტორულ მოდელში სხვადასხვა ჯგუფებში ერთიანდება სხვადასხვა ტიპის ცვლადი და პოტენციური საერთაშორისო ვიზიტორისთვის ერთ ფაქტორულ ჯგუფში მოიაზრება, როგორც აგროტურისტული აქტივობები, ასევე გარემო პირობები, ხოლო მეორე ჯგუფში წარმოდგენილია ადგილმდებარეობა, ფასი და ხარისხის ნიშანი.
- საერთაშორისო ვიზიტორებს შორის სქესის ორ ჯგუფს შორის დაფიქსირებული სხვაობა მხოლოდ 5 ცვლადთან მიმართებაში გამოვლინდა (ფასი, მანძილი, ინფრასტრუქტურა, კომფორტისა და მცირე ზოოპარკის ცვლადებთან მიმართებაში), რაც იმაზე მეტყველებს, რომ სქესის მიხედვით მკვეთრი განსხვავებები არ ვლინდება.
- ადგილობრივი, აგროტურისტულ ობიექტზე ყოფნის გამოცდილების მქონე მომხმარებლების ფაქტორული ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მომხმარებლებისთვის გადაწყვეტილების მიღებისას თანაბრად მნიშვნელოვანია ფასი და მანძილი.
- უცხოელ ვიზიტორებს შორის წარმოდგენილი 4 ასაკობრივი ჯგუფების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აგროტურისტულ ობიექტზე ყველაზე

აქტიურ ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენენ 26-35 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში მყოფი მომხმარებლები, ხოლო ხარისხის ნიშნის ქონა, ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის აღმოჩნდა თითქმის ერთნაირად მნიშვნელოვანი.

- ადგილობრივ ვიზიტორებს შორის ასაკობრივი ჯგუფების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ აგროტურისტული აქტივობები ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია 46 – 55 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისათვის.
- ადგილობრივი პოტენციური ვიზიტორების, ფაქტორული ანალიზის შედეგად, ფაქტორულ მოდელში გამოიკვეთა 7 ფაქტორი (ხილის დაკრეფვა, სხვადასხვა პროცესების თვალყურის დევნება, ტურები, ექსპოზიციები, ნერგების ყიდვის შესაძლებლობა, დეგუსტაციები, კარვის გაშლის შესაძლებლობა). წარმოდენილი ფაქტორული ანალიზი გვიდასტურებს, რომ პოტენციური ვიზიტორების მიდგომები განსხვავდება არსებული ვიზიტორების მიდგომებისგან, თუმცა გარკვეულ ცვლადებში, მაგალითად, როგორც არის ფასი, აქვთ თანხვედრა.
- საერთაშორისო ვიზიტორებისთვის, რომლებიც ბავშვებთან ერთად მოგზაურობენ, მნიშვნელოვანია ირგვლივ კვების ობიექტების არსებობა და გამართული ინფრასტრუქტურა, ხოლო კულტურული აქტივობები და აგროტურისტული ობიექტის ადგილმდებარეობა ისეთი ვიზიტორებისთვის აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, ვისაც არ ჰყავს ბავშვები.
- ადგილობრივი მომხმარებელთა შორის ბავშვების რაოდენობის მიხედვით ანალიზისას გამოვლინდა, რომ ცვლადები, რომლებიც ყველა ჯგუფს ერთიანებს და ყველასთვის მნიშვნელოვანია არის დეგუსტაციები, სხვადასხვა პროცესების თვალყურის დევნება, უსაფრთხოება და მეგობრული გარემო, რაც აგროტურისტული ობიექტის საგანმანათლებლო-შემეცნებითი კუთხით დატვირთვას უსვამს ხაზს.
- უცხოელ და ადგილობრივ ვიზიტორებს შორის შემოსავლის მიხედვით გაკეთებული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ მომხმარებლები, რომლებსაც გააჩნიათ უცხოელის შემთხვევაში 4001 ევროზე მეტი შემოსავალი და ადგილობრივის

შემთხვევაში 3001-4000 ლარამდე, არიან ყველაზე აქტიურები აგროტურისტულ აქტივობებთან მიმართებაში, ანუ რაც უფრო მეტი შემოსავალი აქვს ადამიანს მით უფრო მეტად არის მოტივირებული ისარგებლოს უფრო მეტი მომსახურებით და დახარჯოს თანხა.

რეკომენდაციები

წინამდებარე თავში წარმოდგენილი დასკვნებიდან გამომდინარე, აგროტურიზმის მდგრადი განვითარების განვითარებისათვის კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, კერძოდ:

- სასურველია რეგიონის დონეზე აგროტურიზმის ერთობლივი კლასტერული მიდგომით განვითარება.
- სასურველია აგროტურისტულ პროდუქტსა ხარისხზე და გარემოზე ზრუნვა, შემდეგი ფორმებით:
- ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენება;
- ბიო მეურნეობის განვითარება;
- პესტიციდების გამოყენების შეზღუდვა;
- ვიზიტორების საჭიროებებისა და მოლოდინების კვლევა, რომ უკეთ მოხდეს მათი სურვილების დაკმაყოფილება. მათთან მუდმივი კომუნიკაცია, ბაზის შექმნა, სიახლეებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; სასურველი სეგმენტების განსაზღვრა.
- სახელმწიფოს მხრიდან აგროტურიზმის საკანონმდებლო რეგულირება და აგროტურისტული ობიექტის სტატუსის განსაზღვრა, თუმცადა რეგიონალურ დონეზე, შესაძლებელია დამატებით მოხდეს მისი რეგულირება დადგენილებებითა, სტრატეგიებით.
- თუ არ მოხდება არსებული კანონპროექტის მიღება აგროტურიზმის შესახებ, შესაძლებელია მოხდეს ლატვიის მაგალითის გაზიარება და კანონში ტურიზმის შესახებ აგროტურიზმის დეფინიციის დამატება;
- სასურველია მოხდეს, სოფლის ტურიზმის დეფინიციის შემოღება, რაც მოახდენს მის გამიჯვნას აგროტურიზმისაგან, ამ მხრივ შესაძლებელია ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილების გაზიარება, რაც აგროტურისტულ ობიექტს არ უზღუდავს ურბანულ

- დასახლებაში არსებობის უფლებას, რაც სოფლის ტურიზმის შემთხვევაში დაუშვებელია.
- სასურველია მოხდეს სლოვენის გამოცდილების გაზიარება საცხოვრებელი ბინების კატეგორიზაციასთან მიმართებით რეგიონალურ დონეზე;
 - მნიშვნელოვანია იტალიის გამოცდილების გაზიარება და ონლაინ პლატფორმების შექმნა, რაც დააკავშირებს მეწარმეებსა და აგროტურისტებს, რაც აღმოფხვრის მათ შორის არსებული „სიცარიელეს“ (gap);
 - სასურველია ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილების გაზიარება ტურიზმის სტატისტიკურ მონაცემებში აგროტურიზმის გამოყოფა, რაც ძალიან დიდ გავლენას იქონიებს მონაცემების დამუშავებაზე და აგროტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური სარგებლიანობის სამეცნიერო დონეზე შესწავლაზე;
 - კლასტერების, ასოციაციებისა და გაერთიანებების შექმნა ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე, ასევე მჭიდრო კომუნიკაცია ტურიზმის მიმართულებით მომუშავე სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან;
 - შიდა ქართლის აგროტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების ერთიანი ქოლგის ქვეშ გაერთიანება - ქსელის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ერთობლივი ინტერესების გატარებას, მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვას.
 - როგორც კვლევამ გამოავლინა, სასურველია რეგიონმა აგროტურისტს შესთავაზოს კომპლექსური ტურისტული პროდუქტი, რომელიც გააერთიანებს, როგორც აგროტურისტული ობიექტების მონახულებას, აგროტურისტულ აქტივობებში ჩართულობას, განთავსებას და კვებას;
 - სასურველია რეგიონის პოტენციალის შესწავლის საფუძველზე აგროტურიზმის პოპულარიზაციის სტრატეგიების შემუშავება და წარმოდგენილი კონცეპტუალური მოდელის ინტეგრირება.

Grigol Robakidze University

With the right of manuscript

Nino Sachaleli

**Agritourism as a Component of Tourism Business Sustainable
Development and Its Potential in Shida Kartli Region**

Educational programme: Business Administration

Thesis is presented for obtaining of the
PhD Degree in Business Administration

Abstract

Tbilisi

2024

31

Grigol Robakidze University

Thesis Supervisors:

Tamar Koblianidze, Doctor of Economics, Professor

Maia Meladze, Doctor of Business Administration, Professor

This thesis is accessible at the library of Grigol Robakidze University, Tbilisi,
N3 Irina Enukidze (Agmashenebeli Alley 13th km)

Table of Contents

Introduction.....	34
Research relevance and the essence of the problem:	34
Research Aims and objectives	38
Research hypothesis.....	39
Scientific Literature Review and Theoretical Context of the Study .	39
Methodology and Research Description	40
Research Results	41
Scientific findings	42
Conclusion	46
Recommendations	51

Introduction

Research relevance and the essence of the problem:

Sustainable development was defined in the World Commission on Environment and Development's 1987 Brundtland report "Our Common Future" as "development that meets the needs of the present without compromising the ability of future generations to meet their own needs". It seeks to reconcile economic development with the protection of social and environmental balance.

